# საქართველო

## საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო". ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ლირს თვეში—800 მან. ცალკე №—50 მან.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეშვიდე. — შაბათი, თებერვლის 22. 1921 წ. — № 41



გულ დამწუხრებული თამარა ანდრიას ასული აბაშიძე-თარხნიშვილისა დებით და ძმით და დიმიტრი ესტატეს ძე თარხნიშვილი აცხადებენ რომ ა. წ. 18 თებერვალს ვაჟკაცურ შეტაკებაში სოღანლუღის პოზიციებზედ ხიშტის ჭრილობიდგან გმირულად დალია სული ძმამ პირველებისამ და ცოლის ძმამ უკანასკნელისამ, მე-4-ე შულავერის სანპირო რაზმის ლეიტენანტმა

**დავით (დევი) ანდრიას ძე აბაშიძემ**

პანაშვიდი და წირვა სამხედრო სობოროში ა. წ. 21 თებერვალს 7 საათზე საღამოს და განსვენება 22 თებერვალს დილის 12 საათზე: იოანე-ღვთისმეტყველის სასაფლაოზე. 1—3498—1.

გიორგი ივანეს ძე დემუროვი თავის შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებს, რომ ბრძოლის ველმა იმსხვერპლა სამშობლოსთვის თავგანწირული მუდმივ მედგარი ყველასთვის საყვარელი და ძვირფასი დის ქმარი კაპიტანი

**ნიკოლოზ ოთარის ძე ზანდუკელი.** 2—3498—1

თამარ ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე ზაქარიას ძე მაყაშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თავის მოვალეობის ასრულების დროს გმირულად დაიღუპა მათი საყვარელი უმფროსი ქალი, ქართ. უნ. სტუდენტი

**მარო მაყაშვილი**

პანაშვიდი ყოველ დღე 6 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს ვერის წმიდა ნიკ. ეკლესიის გალავანში.

სამხედრო სამინისტროს საარტილერიო სექციის მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამა სექციის ყოფილი თანამოსამსახურე არტილერიის აფიცერის კაპიტან

**მიხეილ გრიგოლის-ძის თუმანიშვილის**

ბრძოლის ველზე გმირულად გარდაცვალებას ამა 19 თებ. 3499. 1—1

მეორე საარტილერიო დივიზიონის მეორე ბატარეის უფროსი აფიცრები და ჯარის კაცები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ქარ. საზოგადოებას, რომ 19 თებერვალს დილით მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ კაპიტანი

**მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი**

და მოხალისე ჯარისკაცი—სტუდენტი

**ნიკოლოზ კალანდარაშვილი.**

პანაშვიდი ყოველ-დღე 12 და 5 ს. მიხეილის საავადმყოფოში.

ექიმი მ. ზანდუკელი თავის ცოლით და შვილით, აგრეთვე დები—ნინა და ელენე თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე თავი შესწირა გმირულად ყოველთვის თავგანწირულმა საყვარელმა ძმამ

**ნიკოლოზ ოთარის ძემ ზანდუკელმა**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში. შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან. 2—3498—1

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო თავის თანამშრომლებთან ერთად მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 9 თებერვალს ბრძოლის ველზე თავის მოვალეობის ასრულების დროს გმირულად დაიღუპა წითელი ჯვრის საექიმო 1 ლ მფრინავ რაზმის სათნოების და

**მარიამ კონსტანტინეს ასული მაყაშვილი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ ოთხშაბათს 23 თებერვალს 12 საათზე. დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. 1—3494—1

ათასეულის უფროსი, ოფიცერთა საზოგადოება და ჯარის კაცები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გმირულად დაღუპვას მტერთან ბრძოლაში ლეიტენანტ

**გენო ქარუმიძესას**

პანაშვიდი 9 ნახ. ს. დილით სამშაბათს საღამოთი 7 საათზე. დასაფლავება ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—3495—1


## ვაშა საქართველოვ!

ჯერ ომი სწარმოებს, საშინელი ომი, მაგრამ საქართველოს გულიდან—თბილისის კლდეებიდან—უკვე აღმოხდა „ვაშა!" და გამარჯვების გრიალი ეფინება ქვეყნიერებას. რუსეთის დამშეულთა ურდოები, რომლებიც ემუქრებიან მთელ განათლებულ კაცობრიობას წარღვნით და წალეკით, უკვე ეხეთქა ირაკლი მეფის სტრატეგიულს ხაზებს, ეხლა გაქვავებულს ჩვენი მამულიშვილების მკერდით,—ეხეთქა, დაიმტვრია შუბლი და დამარცხებული იხევა უკან.

ვაშა, საქართველოვ!

მოხდა დიდებული და გმირული საქმე, ჰწყდება ბედი არა მარტო საქართველოისა, არამედ მთელი კავკასიის და მთელი წინა აზიისა. ამ წამს განცვიფრებული ქვეყნიერება დაჰყურებს საქართველოს რუკას: როგორ? ამ პატარა ერმა მოახდინა ეს სასწაული?!

ამწამს ლოიდ ჯორჯი, მილლერანი, ვილსონი თუ ჰარდინგი ...... ხალხნი და ...... თავით პოლიტიკის გეგმას, იმ ლეგულნი არიან გადათვალიერონ და შეუფარდონ იგი ...... ფაქტორს მთელი ისტორიისას—საქართველოს. ლენინი, ცნობილი ლენინი, შუბლ-შეხრილი და დაღრემილი, იყურება სამხრეთისაკენ: ნუ თუ აქ, საქართველოს საზღვრებზე, უნდა დამარცხდეს ...... ოცნება? ნუ თუ აქ არის მტკიცე და შეურყეველი ზღუდე განათლების და თავისუფლებისა?! ჰფიქრობს იგი.

დიახ, აქ არის! ქართველ ერს არ ეჩვევა დაღლილობა. თვით ...... ჩვენგანი ჰგრძნობს საიდუმლო ეროვნულ სულს, საიდუმლო ტალღებს ეროვნულ ენტუზიაზმისას. ხალხი იძვრის თავისთავად, ბუნებრივად, და ყველა დიდი და პატარა, მიიშურება ბრძოლისაკენ... ცაში დადის ლანდები ჩვენი წინაპრებისა... საფლავებს უვლის ჟრუანტელი სიცოცხლისა...

ვაშა, საქართველოვ!

ვაშ, კვინიტაძე!

**გიორგი გვაზავა.**

## გენერალი კვინიტაძე.

მისი სახელი ეკერა პირზე ყველას, მტრის ვერაგულ და თავხედ შემოსევის პირველსავე გაგებაზე...

მისკენ ჰქროდა გონება ყოველი ქართველი პატრიოტისა, ვისაც სწამდა და სწამს ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი, მისი ძალა და უნარი მტერთან საბრძოლველად...

მის სახელოვან მეომრის შარავანდედით მოსილ პიროვნების გარშემო შეიკრიბა სხივები ეროვნულ ენტუზიაზმისა, ერის ცხოველმყოფელ იმედისა, გამარჯვების ნებისყოფისა.

მისმა „მომქმედ ძალად" გადაქცევამ, მისმა მოწოდებამ სამოქმედო ასპარეზზე—იმედით აღავსო ქვეყნის გული, გააცხოველა და განამტკიცა იმედი და რწმენა ქვეყნის ხსნისა და გამარჯვებისა...

იგი კვლავ მეთაურობს უძლეველ მხედრობას, კვლავ მისს მძლავრ მარჯვენას ჩაჰბარდა განწირვის ჟამს ბედი ქართლისა...

კურთხეულ უყავნ მარჯვენა შენი, გმირო ქართლისაო!

გზა გამარჯვებისა იყავნ მუდმივი და განუწყვეტელი ხვედრი შენი და ძლევამოსილ შენის მხედრობისა!

იხსენ ერი შენი განსაცდელისაგან!!

**შეუპოვარი.**

## ტაბახმელა-კოჯორის ფრონტზე

„ლომებივით იბრძვიან იუნკრები", საერთო ხმაა და, მართლაც, ყველა ნაწილებიდან იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტსა. ზურგიდან გამაგრებულნი არტილერიით, ისინი ჩასაფრებიან წუნკალა მტერს და მთელი დღე და ღამეს, როგორც ზღვის ტალღებს უკუაქცევენ ბოლშევიკების იერიშებს. განდევნილნი კოჯორიდან და ქოროღლიდან, უკანასკნელნი ასკდებიან ტაბახმელის მაღლობებს, მაგრამ ამაოდ. ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვეველები, დაჭრილ-დახოცილნი და სურსათი გაბნეულია მთელს მტრისაგან დატოვებულ ბრძოლის ველზედ და სისტემატიურად ახევინებენ უკან მაღლობიდან მაღლობზედ და უმზადებენ საერთო „ტომარას".

ასეთია მთავარი სურათი, რომელზედაც წვრილი, მაგრამ მკვეთრი ხაზით ამოჭრილია თავგანწირული მუშაობა სულ ახალგაზრდა მოწყალების დებისა და ძმებისა, რომელთაგან უკვე იმსხვერპლა ვერაგმა ყუმბარამ კ. მაყაშვილის ქალი და ორი სტუდენტი კატასტროფის ადგილზედ ჰყრია ერთმანეთში ალუფხული სასანიტარო ეტლი და ოთხი საშინლად გალადრული ცხენი.

მაგრამ ბრძოლის ველზედ აღფრთოვანებული ყიჟინა და მუშაობაა: არტილერია, ყმაწვილი, ლამაზი ვაჟკაცის მოღიმარი ბრძანებით, როგორც ცეცხლის მფრქვევი ვეშაპი, აყრის ცეცხლსა და გეენიას გათამამებულ მტერს და ამ ცეცხლის ქვეშ ვაჟკაცი იუნკრების ტყვიის მფრქვეველნი და თოფები მუსრს ავლებენ მტერსა. საველე წითელი ჯვრის ოთახში გახურებული მუშაობაა: შველიან თანაბრად თავისიანებსა და მტრის დაჭრილებს. აგერ წევს ვაჟკაცი იუნკერი ტ—შვილი და მოწყალების და წამ და უწუმ რაღაცა წამალს აპკურებს მოსაბრუნებელს. იგი თვალს ახელს და ჰკითხავს „სტუმარსა":—იუნკრები ხომ ყველა იბრძვისო და ჩვენს პასუხზედ: „ყველა, საუცხოვოდო",—მძიმედ დაჭრილი, ილიმება სათნო სიხარულით.

აგერ მეორე დაჭრილი, მაგიდაზედ მოწოლილი, მიჰყუდებია კედელსა. მას მისი ამხანაგი აბარებს ექიმს, რომ ისევ გაიქცეს ბრძოლაში. აგერ მესამე, თითონ იხვევს ფეხს და იწევს ბრძოლის ცენტრისაკენ, მაგრამ ურჩევენ დასვენებას და როცა მოაქვთ ამბავი კვლავ დაჭრილ რუსებზედ, ჩვენც „სტუმრებს", გავრბივართ კოჯორის ველზედ. ჰყრიან დახოცილნი „წითელი" არმიელები, მაგრამ სიწითლისა არა სცხიათ რა: სიკვდილისაგან, თითქო არა მარტო სახეები, ტანსაცმელიც ნაცრისფერი გახდომიათ. დაჭრილნი ბღავიან და სტირიან: „ძალით წამოგვიყვანეს, არ გვინდა ბრძოლა, გვემუქრებიან დახვრეტითო", და მათს უსახო სახეებზედ არა სჩანს სრულებით ისე ღვზნებული ცეცხლი, რომელიც აშუქებს ჩვენებს. და ყველგან ერთი და იგივე ხმაა: „არას გზით არ მივცემთ თბილისს, ბოლშევიზმი თავის საფლავს საქართველოდან იწყებს თხრასაო.

**რ. გაბაშვილი.**

## სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხის მოწოდება

ძენო ქართლისაო! სრულიად საქართველოს ვაჟკაცნო და ქალნო!

მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენ და.

საუკუნოებში განწირულ საქართველოს სამღრთო განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს და დასცეს რუსეთი და რომელნიც აზია ევროპაში მხოლოდ ყველაფერს ანგრევდენ და ანადგურებდენ.

თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდენ ჩვენს დედა ქალაქს და დამშეულნი ელოდნენ თბილისში გემრიელი პურით და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას, მაგრამ როგორც არასოდეს, მტკვარი პირს არ იბრუნებს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი, ვერ მიაღწევს ბოროტ-განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას, ყოვლად წმ. ღვთის მშობელი ცეცხლად შეარგებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სეფისკვრად და ზედაშედ.

საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით იმ საშიშარ და ცრუ ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ ხოლმე მხოლოდ ჩვენი მტრები, ხალხში შიშისა, სასოწარკვეთილებისა და არეულობის გამოსაწვევად.

ენდეთ უფალს, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშეთიდან ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-ადერბეიჯანელები ვერას დააკლებენ სახელოვან კახელ-ქიზიყელისა თუშ-ფშავ-ხევსურ მთიელებისა, უტეხი ქართლელებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზებისაგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ზურგი მტკიცედ გვექნება დაცული.

ამას გთხოვთ, ჩემო სულიერნო ძენო და ასულნო, სამშობლოს სიყვარულით, ამაზე გევედრებით მთელი ჩემი არსებით, ამას მივაქცევ თქვენ მთავარ ყურადღებას, დანარჩენი ყველაფერი ჩვენს ხელთ არის და იქნება.

ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევა მოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხდომილი საქართველო!

ქება, დიდება და მარადისობა ქართველ ერს!

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი **ლეონიდი.**

## ჩვენი პარტიის იმერეთის რაზმები

გუშინ წინ ქუთაისიდან ოფიცერ ნაკაშიძის მეთაურობით ჩამოვიდენ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მიერ შეკრებილი მოხალისენი, უმეტესად მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელნიც წარსულ ომებში იღებდენ მონაწილეობას, 86 კაცი. რაზმს „საქართველოს" რედაქციაში მთავარი კომიტეტის სახელით მიესალმენ გ. ვეშაპელი და ი. მაჭავარიანი.

შემდეგ რაზმი გამოცხადდა გენერალურ შტაბში და განაცხადა სურვილი დაუყოვნებლივ ფრონტზე წასვლისა.

მთავარ სარდალმა თვითინება რაზმის დათვალიერება და მისალმება, რასაც რაზმი აღფრთოვანებული ვაშათი შეხვდა. ამის შემდეგ რაზმი გაგზავნილ იქმნა მეშვიდე ათასეულის ერთ-ერთ გუნდში.

მთავარ-კომიტეტის ცნობით ასეთივე რაზმი გამოსულია ზესტაფონიდან, რიცხვით 300 კაცამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ომის ასპარეზი

## გენერალური შტაბის ცნობა

ტფილისი, თებერვლის 21.

ღამით 20—21 თებერვალს, მტერმა მიიღო რა მაშველი ძალები, ორჯერ შემოუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში. ორივეჯერ მოვიცდენ მტრის რაზმები ჩვენ სანგრებამდე მტრის პირველი შემოტევა მოვიგერიეთ ხელისასროლი ყუმბარებით, მეორე შემოტევა კი—ხიშტით ბრძოლამდე მივიდა. მიუხედავათ ჩვენი ჯარების მეტისმეტი დაღლილობისა მთელი ღამის სასტიკი ბრძოლის გამო, ჩვენი ჯარები ორჯერ გადავიდნენ კონტრ შეტევაზე და მამაცურ თავდასხმით უკუ აგდეს მტერი.

შემდეგში მტრის ყოველგვარი ცდა შემოტევისა მოგერებულ იქნა ჩვენების სროლით.

21 თებერვალს დილის 8 საათზე ჩვენი ძალების მიწოლის შემდეგ მტერმა დაიწყო უკან დახევა.

ღამის ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები, მათ შორის პოლიტკომი (პოლიტიკური კომისარი).

სალ ნლულის დასავლეთის რაიონში ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო მტრის ყუმბარების ყუთი ყუმბარებით.

შავი ზღვის პირის მიმართულებით 20 თებერვალს აღმოჩენილ იქნა მტრის შემოტევა აფლერის მხრიდან. საფრანგეთის ესკადრა ჩვენ ტერიტორიის დაცვის საქმეში დახმარებას გვიწევს: ზარბაზნებიდან ესვრის ბოლშევიკთა ჯარების ფრთას.

დანარჩენ მიმართულებებზე ცვლილებები არ მომხდარა.

## ახალი გამარჯვება

თებერვლის 21 ს, კოჯორის რაიონში მტერს წავართვით 4 ზარბაზანი, 8 ტყვიის მფრქვეველი, ერთი დროშა და ერთი საბარგო ავტომობილი.

## მთავრობის განცხადება

იმ ხმების გამო, რომელიც ქალაქში გავრცელდა ქუთაისში მთავრობის გადასვლის შესახებ, მთავრობა აცხადებს შემდეგს:

,,მთავრობა თბილისში იმყოფება და აქვე დარჩება. მხოლოდ რამდენიმე წევრი მთავრობისა მთავრობისავე დავალებით დროებით ქუთაისში გადადიან ინტენსიური მუშაობის გასაგრძელებლად რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში; მათ მინდობილი აქვთ: ჯარის გაწრთვნა, მოხალისეთა შედგენა და სურსათის მოწყობა''.

## საყოველთაო მობილიზაცია

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ტფილისის გამაგრებულ რაიონში (თბილისში, მცხეთაში, დიღომში, ავჭალაში დიდ და პატარა ლილოში, ნორიოში, მარტყოფში, ახალ სოფელში და ყველა ხხვა ამავე რაიონის პატარა სოფლებში) ცხადდება მობილიზაცია 40 წლამდე ქართველი მოქალაქეებისა. პირველი დღე გამოცხადებისა დღეს, 21 თებერვალს, გაგრძელდება ხვალ საღამოს 6 საათამდე.

ვინც ამ დროს განმავლობაში არ გამოცხადდება იქნება გასამართლებული, როგორც დეზერტირი.

თბილისის ქალაქის თვითმართველობას და სამაზრო ერობას ევალება ხანწრაფოთ განახორციელონ ეს. სოფ. მცხეთაშიაც მობილიზაციას თბილისის სამაზრო ერობამ გაუწიოს ხელმძღვანელობა.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

თბილისელები გამოცხადდენ სადგურის პირდაპირ ქალაქის სამობილიზაციო პუნქტზე, სოფლელები-კი სამაზრო ერობაში რუსთაველის პროსპექტზე.

დამარცხებული მტერი სამუდამოდ უნდა განიდევნოს ჩვენგან.

თბილისი, 21 თებერვალი 1921 წ.

ალმთავ. გენერალ-გუბ. ბ. ჩხიკვიშვილი.

## ქართული რევკომი

ბოლშევიკების პროკლამაციაში იწერება: რომ შულავერში შემდგარა ქართული რევკომი: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ოკუჯავა მიხეილ, დუმბაძე ლადო, ფიციკ ომარ, ნაზარეტიან ამიგ, გეგეჭკორი ალექ. კვირიკელია ბეჟო.

## კახეთში

გუშინ, თებერვლის 21, ნაშუადღევის 2 ს. ველისციხიდან ჩამოვიდნენ ტფილისში ველისციხის მცხოვრებნი გლეხები. იგინი გამოსულან ველისციხიდან თებერვლის 19 ს, დილის 12 ს., გამოუვლიათ სოფ. კაკაბეთში, სადაც უნახავთ ტფილისიდან მომავალი რამდენიმე უცნობი პირნი, უცნობ პირთ უამბნიათ ველისციხელებისათვის, რომ ბოლშევიკებმა ტფილისი უკვე აიღეს და უთხოვნიათ უკან დაბრუნებულიყვენ. მათვე გადმოგვცეს, რომ ვაზიანში ბოლშევიკებმა კახელებს გზაზე რვა ბოჩკა ღვინო წაართვეს, სამი ბოჩკა დასცალეს ძალზე დათვრნენ და ვაზიანის სადგურზე ეყარნენ. ველისციხელების სიტყვით, სხვა და სხვა პროვოკატორები სოფლებში განზრახ ხმებს ავრცელებენ, რომ თბილისი აღებულია. თელავის და სიღნაღის მაზრებში მშვიდობიანობაა მთელი ხალხი მზადაა საომრად. ყვარლელები უკვე გავიდნენ საომრად ლაგოდეხის მიმართულებით.

## ხევსურების რაზმი.

შ. ქარუმიძემ ხევსურთა ცხენოსანი და ქვეითი რაზმებით გომბორიდან თბილისში ჩამოვიდა.

მუხრავანის და ვასიანის რაიონში ამ რაზმებს შეტაკება ჰქონდათ ბოლშევიკებთან.

## მაზნიაშვილის გამარჯვება

პირველი შემოტევა მტერმ ტფილისზე სოღანლუღიდან დაიწყო პარასკევს ღამე. მტრების დიდი ნაწილი გათამამებული იმით, რომ ასე ახლო იყვნენ ტფილისთან და ქალაქის სინათლეს ხედავდენ დაურიდებლათ მოდიოდენ და თითქოს ჩვენ სანგრებთან რამოდენიმე ათეულ ნაბიჯზე იდგენ. მტრის მოწინავე რაზმში თვითონ სარდალის გენერალ მაზნიაშვილის შტაბს მიადგა და დაუზოგავათ დაუწყო სროლა. მაგრამ გენერალმა თვითონ გაარღვია რკალი და თავის ხელით მოჰკლა რამდენიმე რუსი ჯარის კაცი...

ჩვენი ჯარი, გათამამებული სარდალის ასეთი გმირობით, საშინლათ ეკვეთა მტერს და უკუ აგდო ის დიდი ზარალით.

ველი მოფენილია [illegible] -დრებით და უფრო მეტი კიდევ ტყვეებათ ჩაუვარდა ჩვენს ჯარს

ჩვენი ლაშქარი დიდხანს სდევდა მტერს.

ამ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ აუწერელი მამაცობა გამოიჩინა, რომელსაც მხოლოდ შემდეგში დააფასებს ისტორია.

ტფილისი პირველათ ამ ბრძოლამ იხსნა და სამუდამოთ გაამაგრა საქართველოს თავდაცვის საქმე.

## მარო მაყაშვილი.

კოჯორის ფრონტზე მტრის ყუმბარით დაიღუპა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო მაყაშვილი, 19 წლისა, რომელიც მოწყალების დათ იყო ჩაწერილი ერთ ერთ რაზმში, მთელ ქართველ საზოგადოებაზე ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და ყველა ქართველი საზოგადოებათა წარმომადგენლები სამძიმარს უცხადებდენ პოეტს.

მეორე უნცროსი ვაჟი შვილი კოტე მაყაშვილის კიდევ შემთხვევით გადარჩა მეორე ფრონტზე მტრის ყუმბარას.

## აფხაზეთში.

სოხუმი. 19 2. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მოსულია შემდეგი შინაარსის დეპეშა: თებ. 18 შექმნილ მდგომარეობის გამო სოხუმში დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო კრილობა შედგა. მთავრობის მოწოდებამ ქვეყნის დასაცავათ ძალთა მობილიზაციის შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. კრილობამ დაადგინა: მიიღოს ყოველგვარი ზომები ქვეყნის დასაცავათ. დგება მოხალისეთა რაზმები. მოხალისეები მრავლად ეწერებიან. კრილობა ღრმათ არის დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხი კვლავ გაიმარჯვებს იმ მტერზე, რომელიც საქართველოს ვერაგულად დაესხა თავს.

## იუნკრების გმირობა.

ჩვენი ჯარის და გვარდიის მამაცობას და გმირობას საზღვარი არა აქვს. მაგრამ თუ ესაგებია ძველი და გამოცდილი ჯარისკაცების და გვარდიელების მოქმედება, კიდევ უფრო ასანიშნავია, რომ ახალგაზრდა იუნკრები, რომელნიც ეს ეს არის გამოუშვეს სკოლიდან ლომებივით იბრძვიან. სარდლობა და [illegible] დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა საზოგადოება სიტყვებს ვერ ნახულობენ მადლობისა და ქებისათვის.

## მთიულების რაზმი.

მთიულთა მოხალისეთა რაზმმა რომელიც ორი დღის განმავლობაში შესდგა, თებერვლის 19 დილით მოწინავე პოზიციები დაიკავა. რაზმმა მიიღო მონაწილეობა ძლევამოსულ ბრძოლაში და ბოლშევიკების შემოტევა რამოდენიმეჯერ მოიგერია. რაზმში დიდი აღფრთოვანებაა. ყველა დარწმუნებულია გამარჯვებაში და კავკასიის ბოლშევიკების მონობისაგან განთავისუფლებაში.

ფრონტზე მოხალისეებს მიესალმა ნ. რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა კავკასიის ხალხთა ბრძოლის საერთო ნიშნები. რაზმს მსხვერპლი არა აქვს

## სომხეთის რადიო-ტელეგრამა

თბილისი. თებერვლის 21.

რადიო-ტელეგრამა ერევნიდან. სომხეთი გაწმენდილია ბოლშევიკების ბანდებისაგან. ყოველმხრიდან მოდის ცნობები, რომ მზათ არიან იბრძოლონ სომხეთის მშრომელი ხალხის დამპყრობელთა წინააღმდეგ. მცხოვრებლები, როგორც ერთი კაცი აღსდგნენ ახლად მოვლენილ მტარვალთა წინააღმდეგ, რომელნიც თავს იფარავენ ბოლშევიკურ სოციალისტურ ნიღაბ ქვეშ. საერთო აღფრთოვანებით და ალტაცებით არის მოცული მთელი სომხეთი. მიღებულია ყოველ გვარი ზომები გადამალულ ბოლშევიკების შესაპყრობათ. ერევნის მცხოვრებლები მხურვალე და დიდის პატივისცემით შეხვდენ საპყრობილედან განთავისუფლებულთ. 19 თებერვალს საქართველოს ჯარმა ბოლშევიკებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა. წითლებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე აუარებელი ტყვეები, დაჭრილები და დახოცილები. და აგრეთვე ნადავლი, გაიქცნენ შეშინებულნი. ქართველები განაგრძობენ მათ დევნას. ამით გამოწვეულია ის მდგომარეობა, რომ განჯაში და ბაქოში დაიწყო აჯანყება რომელიც ფართო ხასიათს ღებულობს. დაღესტანშიც აჯანყებაა. წითელი მეომრები იქიდანაც გარბიან. მოსკოვის სოვნარკომმა გამოაცხადა საბჭოთა ჯარის სრული დემობილიზაცია. მე-11 არმიის წითელი არმიელები, ისე როგორც 1918 წელს თავის ნებით სტოვებენ თავიანთ ნაწილებს და მიილტვიან რუსეთში. დილიჟნის რაიონს ვიკავებთ ჩვენ გავწმინდეთ ბოლშევიკების ბანდებიდან. წითელ არმიელთა ორ პოლკს ტაშირის მცხოვრებლებმა გზა მოუჭრეს და გაფანტეს მთებში. მათ სათითაოთ იჭერენ. თბილისთან ჩვენ აღვადგინეთ მჭიდრო მეგობრული დამოკიდებულება.

## სომხეთის აჯანყება

თბილისში მიღებულია შემდეგი რადიო:

ერევანი 20 თებერვალი თბილისში. ვაცნობებთ მთავრობასა და პრესას ერევანში მომხდარ ამბების შესახებ. თებერვლის 18 ს გათენებისას დაიწყო სომხის მშრომელი ხალხის აჯანყება ერევანში ბოლშევიკების წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ქუჩებში სწარმოებდა, ჩაგდებულ იქნენ ბოლშევიკების მთავრობა. შუა დღისას ქალაქი აჯანყებულთა ხელში იყო. მსხვერპლი ორივე მხრით დიდია. სომხეთი სრულიათ გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან. ახალი მთავრობის შედგენამდე ძალა უფლება სამშობლოს დამხსნელი დროებითი კომიტეტის ხელშია ვრაციანის თავმჯდომარეობით.

### აჯანყების მიზეზი

ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორც მაგალითად ოჰაჯანიანი, კაჩაზნუნი და პარლამენტის თავმჯდომარე საჰაკიანი, პარლამენტის წევრები და სხვა შეპყრობილ იქნენ და მშიერ ტიტველნი ეყარნენ ცივ საპყრობილეში არაერთხელ დაემუქრებიან მათ დახვრეტით. ღამით 16, 17 და 18 საპყრობილეში დახვრიტეს და დაჩეხეს ასობით დაპატიმრებულნი, მათ შორის ცნობილი ამაზასპი. დანარჩენი უნდა დაეხვრიტათ 18 თებერვალს გათენებისას, მაგრამ ქალაქის ხელში ჩაგდებისთანავე აჯანყებული ხალხის მიერ ისინი გადარჩნენ. საპყრობილის სარდაფები სავსეა ცულით დაჩეხილი გვამებით. მთელი სომხის ინტელიგენცია დაპატიმრებული იყო რეკვიზიცია, ჩამორთმევა, ძარცვა-გლეჯა, როგორც ქალაქს, ისე სოფლის მცხოვრებთა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. სომხეთა ოფიცრების მთელი შემადგენლობა მიაწვიეს აღრიცხვათ, ისინიც მივიდენ სამსახურისთვის. მათგან სულ მცირე რიცხვი გაანთავისუფლეს ათას ხუთასზე მეტი კაცი მათ შორის გენ. ნაზარბეგოვი, გამაზოვი, სილიკოვი ახვერდოვი და სხვა გარეკეს ქვეითად წითელი არმიელებით გარშემორტყმული ელენოვკამდე.

მთელი სომხეთში მხოლოდ 20—30 ოფიცერი თუ დარჩა სრულიად სხვა მოსაზრებით მოსკოვში გაგზავნეს ცნობილი ჰდრო.

სამშობლოს დამხსნელი კომიტეტის მიერ ზომებია მიღებული რკ. გზის მოძრაობის აღსადგენად ერევან-გუმბრის და ერევან-ჯულფის ხაზზე. მუსულმანი მოსახლეობა სიხარულით ხვდება ახალ მთავრობას. ოსმალეთთან დამოკიდებულება საუცხოვოა.

## დეპეშა ანგორიდან.

ტფილისი. თებერვლის 21. საგარეო საქმეთა მინისტრს.

წარმოუდგენელი აღტაცება გამოვცადეთ იმ ცნობით, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ გამარჯვების შესახებ. საქართველოს თავისუფლების მოსპობა შეუძლებელია. ასე დამარცხდება ყველა ჩვენი მტერი. ვაშა ჩვენს ჯარსა და სახალხო გვარდიას.

20 თებერვალი. საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ანგორაში

მდივანი.

## კონსტიტუცია.

გუშინ დამფუძნებელმა კრებამ გამართა საგანგებო სხდომა მთელი კონსტიტუციის მისაღებად.

# ქრონიკა

— **ქარუმიძის ბატარეა.** პირველი ბრძოლა მტერთან შეხვდა მეორე ბატარეას, რომელსაც მეთაურობს მაიორი ქარუმიძე. ამ ბატარეამ გადასწყვიტა ბრძოლის ბედი. მისმა ცეცხლმა დაადნო მტერი და უკუაქცია.

— **პოლკ. კაზირია.** 19 თებერვლის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა საარტილერიო ბრიგადის უფროსი პოლკოვნიკი კაზირია.

— **თელავში.** თელავიდან ტელეგრამით ატყობინებენ გენერალ-გუბერნატორს: მაზრაში სრული წესიერებაა. ყველა საეჭვო პირები დაჭერილია. მობილიზაცია საუცხოოდ ჩაიარა.

— **ახალგაზრდობა ფრონტზე.** თბილისის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა როგორც სტუდენტები, ისე საშუალო სასწავლებლების უფროსი მოწაფეები ფრონტზე არიან და აუწერელი გმირობით იბრძვიან. ჯერ არავის ახსოვს ასეთი პატრიოტული აღფრთოვანება, და დაუზოგავი თავგანწირვა. ამათ რაზმებს უერთდებიან კიდევ პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდობა.

## კოჯორის ფრონტზე

21 თებერვალს, დილით 11 საათზე, სრულიად სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ღამით, 20—21 თებერვალს, მოწინააღმდეგი მრავალრიცხოვანმა რაზმმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს კოჯორის რაიონში. ბრძოლას წარმოებდა ხელსასროლი ყუმბარებით და ხიშტებით. მტერმა დაიხია სოფ. კოდისაკენ. მტრის დევნა გრძელდება. (ე.)

## გაგრის ფრონტი

ბოლშევიკების შემოტევა გაგრის ფრონტზე შეჩერებულია. ჩვენი საზღვარი ვერ გადმოლახა მტერმა. მტრის „ზურგში" უკვე დაიწყო მწვანე არმიელთა აჯანყებები. საფრანგეთის სამხედრო ფლოტის ორი კრეისერი უკვე მივიდა გაგრის ფრონტზე და მტრის პოზიციებს სროლა აუტეხა. (ე.)

## ქალაქის საბჭო

ქალაქის თვითმართველობაში განკარგულება გაცემული რომ დაუყონებლივ დაიწყონ მთელი მუშაობა ნორმალურის წესით. ქალაქის გამგეობაში მუშაობა სწარმოებს სრულიად ნორმალურად. ქალაქის გამგეობამ მოაწყო საკვები პუნქტები გამვლელ ჯარისათვის ნავთლუღში და საჩქაროდ ეწყობა აგრეთვე პუნქტი ტაბახმელაში,

ყველა ქალაქის ხმოსნებს მიეცა რწმუნება, რომელიც მათ ავალებს თვალყური ადევნონ ბაზარს და შეადგინონ ოქმები საგანგებო სამხედრო სასამართლოში მისაცემად ყველა იმ პირთა, რომელნიც შემჩნეული იქნებიან ფასების ხელოვნურად აწევაში პირველ საჭიროების საგნებზე და 2 საქონლის გადამალვაში სპეკულიაციის მიზნებისათვის.

## ქვეყნის თავდაცვისათვის

ერობათა კავშირის კომიტეტში მიღებულია ტელეგრამები ცაგერიდან, ახალქალაქიდან, ზუგდიდიდან, [illegible], რომ მობილიზაცია საუკეთესოთ ტარდება. მოდიან მრავალრიცხოვანი მოხალისენი. მიღებულია დიდძალი შემოწირულებანი ფრონტისათვის.

მთავარი რედაქტორი: გრ. ვეშაპელი.

სარედაქციო კოლეგია.